

სკოპინგის დასკვნა № 33

საქმიანობის დასახელება: ასაფეთქებელი მასალის წარმოება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ინდო ჯორჯია“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანე;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 01.04.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ინდო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ იქნა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. სავანეში ასაფეთქებელი მასალების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. სავანეში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 35.10.67.015). შერჩეულ ტერიტორიას ოთხივე მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. დოკუმენტის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 950 მეტრით (სოფ. სავანე), ხოლო ელექტრონული გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიიდან სოფელი სავანეს უახლოეს მოსახლემდე მანძილი დაახლოებით 600 მეტრს შეადგენს. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ყვირილა) დაშორებულია 160 მეტრით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან ეკოლოგიური თვალსაზრისით და უსაფრთხო წარმოების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ემულსიური ფეთქებადი ნივთიერებების წარმოებას. შერჩეული ტექნოლოგიის შესაბამისად, ემულსიური ფეთქებადი ნივთიერებები მზადდება კომპონენტების ერთმანეთთან მექანიკური შერევით და დამზადების პროცესში ქიმიური რეაქცია არ მიმდინარეობს. საქმიანობის განხორციელების ადგილის ორი ალტერნატიული ვარიანტიდან საპროექტო ტერიტორია შეირჩა სხვადასხვა ტექნიკური და გარემოსდაცვითი უპირატესობების გათვალისწინებით. მათ შორის, გათვალისწინებული იქნა მეორე ალტერნატიული ვარიანტის მდებარეობა, რომელიც ახლოსაა ტყით დაფარულ ტერიტორიასთან და ავარიული სიტუაციის შექმნისას წარმოადგენს მასშტაბური ხანძრის გავრცელების რისკს. შერჩეული ალტერნატივა ტყით დაფარულ ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 680 მეტრით. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა ქვეყანაში სამრეწველო დანიშნულების ფეთქებად ნივთიერებებზე მაღალი მოთხოვნილების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე უმოქმედობის ალტერნატივის უარყოფა დასაბუთებული იქნეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე, ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს

საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა.

საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ობიექტებია: საწარმოო კორპუსი, სადაც ასევე განთავსდება ლაბორატორია; ნედლეულის საწყობი; მზა პროდუქციის საწყობი; ფეთქებადი ნივთიერებების უტილიზაციის ზონა; ოფისი; საკონტროლო-გამშვები პუნქტი; დიზელ-გენერატორის ფარდული; საკანალიზაციო და საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის რეზერვუარები; წყლის რეზერვუარები; ტერიტორიაზე მისასვლელი და შიდა გზები. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიის შემოსაზღვრა 2.5 მეტრი სიმაღლის ლითონის მავთულბადით, რომლის ზედა ნაწილში მოეწყობა 3-რიგიანი ეკლიანი მავთულხლართი. **დაზუსტებას საჭიროებს ზემოხსენებული ინფორმაცია, ვინაიდან საწარმოს გენ-გეგმის (ნახაზი - 2.1.1.) მიხედვით, ტერიტორიის შემოსაზღვრა დაგეგმილია ბეტონის ღობით.** დოკუმენტის თანახმად, ასევე გათვალისწინებულია მზა პროდუქციის საწყობისა და ნარჩენების უტილიზაციის ტერიტორიის შიდა შემოღობვა.

საწარმოო კორპუსის განთავსება გათვალისწინებულია ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. საწარმოო კორპუსში მოეწყობა მეხამრიდი, აგრეთვე დაგეგმილია ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემების მონტაჟი. იატაკი მოეწყობა სითხეგაუმტარი ბეტონის ზედაპირით. მზა პროდუქტების დახურული საწყობის მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. საწყობი იქნება ნახევრად ჩადრმავებული, იატაკი იქნება მობეტონებული და სითხეგაუმტარი ფენით დაფარული. ნაგებობა გაყოფილი იქნება ორ საცავად. საწყობში მოეწყობა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და მეხამრიდი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწყობის მოწყობა-ექსპლუატაციისას დაცული იქნება „სამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს ფეთქებადი მასალის დამზადებას, შეფუთვა-შენახვას და რეალიზაციას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ემულსიური ნივთიერების, ასევე დაგეგმილია ან-ფო/იგნანტის წარმოება. ფეთქებადი მასალები, როგორც ემულსიური, ისევე ან-ფო/იგნანტი, იწარმოება - 4800 კგ წლიურად, მაქსიმუმ 400 კგ თვეში. ემულსიური ფეთქებადი მასალის წარმოების ტექნოლოგიური ოპერაციის თანმიმდევრობა გულისხმობს ნარევის დამზადებას, გაცხელებას, მიქსერში არევას და მატრიცის აუზში მიწოდებას, დამზადებული მასისთვის დანამატების დამატებას, მიქსერში არევას და ჩამოსასხმელ დანადგარში მიწოდებას. ჩამოსხმული პროდუქტი გადადის გამაგრებულ დანადგარში და მიწოდება შემფუთავ დანადგარს. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ან-ფო/იგნანტის დამზადების ტექნოლოგია გულისხმობს გვარჯილისა და დიზელის ერთმანეთში შერევას და მზა მასალის 25 კგ ტომრებში დაფასობას. სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ აღწერილი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი, რომელიც გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალურად, შესაბამისი თანმიმდევრობით - საწარმოში საჭირო მასალის და დანამატების მიღებიდან ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება-შენახვამდე. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საწარმოო ციკლში გამოყენებული

ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარების შესახებ, მათ შორის გათვალისწინებულია საწვავის 15 ტონიანი ავზის განთავსება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია წლიურად ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებისთვის საჭირო მასალების დანახარჯების შესახებ, მათ შორის გამოყენებული იქნება: ამონიუმის ნიტრატი 2 976 ტ; დიზელის საწვავი 144 ტ; წყალი 864 ტ. აუცილებელი ნედლეულისა და მასალების დასაწყობება დაგეგმილია საწარმოო კორპუსში, რომელშიც გამოიყოფა სამი სათავსო. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ამონიუმის გვარჯილა, რომელიც შეფუთული იქნება 500 ან 50 კგ პოლიპროპილენის ტარაში („ბიგ-ბეგ“) დაეწყობა ხის ლაგებზე.

საწარმოო კორპუსში დამზადებული ემულსიური ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა გათვალისწინებულია მზა პროდუქციის საწყობში. საწყობში განლაგდება წარმოებული მზა პროდუქცია, არაუმეტეს 200 ტონის ოდენობით. ემულსიური ფეთქებადი ნივთიერების შენახვა მოხდება შეფუთულ და მარკირებულ მდგომარეობაში, შესაბამისი სტანდარტების და ტექნიკური პირობების თანახმად. ფეთქებადი მასალის შესანახ სათავსოში განთავსდება დაცვის ჯიხური, ფეთქებადი მასალების გასაცემი პუნქტი. **გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში წარმოებული ან-ფო/ინგანტის დასაწყობების შესახებ ინფორმაცია.**

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, წარმოების პროცესში პერიოდულად საჭიროა ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოცდა. ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოცდა გათვალისწინებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში და დასაქმდება 10 პირი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 35 პირი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 სამუშაო დღე, სამცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 8-საათიანი ხანგრძლივობით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ბუტილირებული სახით. საწარმოს ტექნიკური და სახანძრო წყლით მომარაგება, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, დაგეგმილია შპს „საქართველოს მელიორაცია“ საკუთრებაში არსებული სარწყავი სისტემიდან. **გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.** სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოს მოწყობა. საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის გათვალისწინებულია მოეწყოს მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარი, საიდანაც შეგროვილი წყალი პერიოდულად გატანილი იქნება უახლოეს გამწმენდ ნაგებობაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლები შეგროვდება რეზერვუარში და შემდგომ გამოყენებული იქნება ხე-მცენარეების მოსარწყავად. **აღნიშნული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას, მათ შორის სანიაღვრე წყლების შესაძლო დაბინძურების და მისი მოსარწყავად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას.**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისათვის.

საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობის ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა არასათანადოდ მართვა დაკავშირებული იქნება გარემოზე ზემოქმედებასთან. მათ შორის, მნიშვნელოვანია საწარმოო ნარჩენები, რომელთა მართვის (ფეთქებადი მასალების განადგურების) მიზნით გათვალისწინებულია 24 მ² ფართობის შემოღობილი პოლიგონის-ნარჩენების განადგურების ზონის მოწყობა. ნარჩენების განადგურების მიზნით გათვალისწინებულია დაწვის მეთოდის გამოყენება. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაწვის მეთოდით ფეთქებადი მასალების განადგურებისთვის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ. საწარმოში წელიწადში შეიძლება წარმოიქმნას 100 კილოგრამამდე საწარმოო წუნი (ნარჩენი). საწარმოო წუნის (ნარჩენის) უტილიზაციის ზონაში გადატანამდე გათვალისწინებულია - ნივთიერების ფეთქებადი თვისებებიდან გათავისუფლება, მასში შემავალი ცხიმების მოცილების გზით. ცხიმების მოცილება მოხდება საწარმოო კორპუსის ლაბორატორიაში, ცხიმმომცილებელ ფხვნილებში გარეცხვით. არაფეთქებადი ნარჩენი ნივთიერება (საშუალოდ 0,4 კგ დღეში) გადატანილი იქნება ნარჩენების უტილიზაციის ზონაში და დაიწვება. დაზუსტებას საჭიროებს ფეთქებადი მასალების დაწვით განადგურებისას „სამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული უსაფრთხო მანძილის შესახებ ინფორმაცია.

დაგეგმილი საქმიანობის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. მათ შორის, ექსპლუატაციის ეტაპზე მავნე აირების გაფრქვევას ადგილი იქნება სტაციონარული წყაროებიდან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდება ემისიების წყაროების განლაგება და მათი მახასიათებლები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები, საანგარიშო წერტილები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევიდან დადგინდა, რომ საპროექტო არეალში ისტორიულ-არქეოლოგიური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიის კვლევის დროს საქართველოს წითელი ნუსხით თუ სხვა რაიმე საერთაშორისო კონვენციით დაცული მცენარეთა სახეობა არ გამოვლენილა. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია მხოლოდ მცირე რაოდენობის მცენარეული საფარი. დოკუმენტის თანახმად, ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება არ იგეგმება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ანთროპოგენური დატვირთვის გათვალისწინებით მოსალოდნელია ზემოქმედება ფაუნის წარმომადგენლებზე არ იქნება მნიშვნელოვანი.

ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, მათ შორის გრუნტის დაბინძურება, მოსალოდნელია მოსამზადებელი სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოები განხორციელდება შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სამუშაოების დასრულების შემდგომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის. დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი იქნება ამ საქმიანობაზე ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ოპერირების ეტაპზე ავარიული რისკებისა და მოსალოდნელი ავარიების მართვის შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 26 აპრილს, საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფ. სავანეს საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ინდო ჯორჯიას“, საკონსულტაციო ორგანიზაციის, სოფ. სავანეს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლე. საჯარო განხილვაზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;**
4. **გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - პროექტის საჭიროების დასაბუთება;
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;

- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ის და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
- საწარმო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. მათ შორის, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საპროექტო დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის გამომწვევი წყაროები (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე და დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), მათ შორის დაზუსტებული მანძილი სოფ. ზედა ორლულამდე;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტიდან ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე მანძილ(ებ)ის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე მოქმედი/საპროექტო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივები, და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან შერჩეული ტექნოლოგიისა და ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების, მათ შორის საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) შესახებ, სამუშაო რეჟიმის/გეგმა- გრაფიკის მითითებით;
- საწარმოს ინფრასტრუქტურული დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ინფორმაცია აუცილებელი ნედლეულისა და მასალების/დანამატების შესახებ. მათ შორის დეტალური ინფორმაცია ნედლეულით მომარაგების, წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსების/შენახვის პირობებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- საწარმოს ტექნოლოგიური სქემის/ციკლის **დეტალური აღწერა**, შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე/ ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება-შენახვამდე;
- დაზუსტებული ინფორმაცია ასაფეთქებელი მასალ(ებ)ის საწყობის მოწყობა-ექსპლუატაციის შესახებ, საპროექტო საწყობის პარამეტრების და

მოწყობა-ექსპლუატაციის გეგმის მითითებით (შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად). მათ შორის, წარმოდგენილი იქნეს საპროექტო საწყობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი;

- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო საწყობში განსათავსებელი ფეთქებადი ნივთიერების მასისა (კგ) და საწყობის ტევადობის კონკრეტული მნიშვნელობის შესახებ;
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების და სატრანსპორტო მარშრუტების შესახებ, რუკაზე ჩვენებით და სქემატური ნახაზების მითითებით. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - ინფორმაცია ფეთქებადი მასალების ტრანსპორტირებისთვის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების და მათი დაცვის შესახებ;
 - ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის/გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;
 - ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ;
 - ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
 - დეტალური ინფორმაცია ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და უსაფრთხოების სტანდარტების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია მისასვლელი გზ(ებ)ის მოწყობის ან/და რეაბილიტაციის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ფეთქებადი მასალების განადგურების ზონის და მისი მოწყობის შესახებ, ფეთქებადი მასალების განადგურების ადგილის დეტალური დახასიათების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია ფეთქებადი მასალების განადგურების შესახებ, შერჩეული მეთოდისა და განადგურების ტექნოლოგიური სქემის მითითებით (რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან). ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს შერჩეული მეთოდის ეფექტურობისა და გარემოსდაცვითი უპირატესობების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია (განადგურების ზონაში გადასვლამდე) ნივთიერების ფეთქებადი თვისებებიდან გათავისუფლების ტექნოლოგიის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ნავთობპროდუქტის სამარაგო საცავის, გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად, მოწყობა-ექსპლუატაციის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში მოსაწყობი ლაბორატორიის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო მიზნით მოხმარებული წყლის რაოდენობის შესახებ,

საწარმოო წყალმომარაგების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასთან“ დადებული ხელშეკრულების მითითებით;

- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენებისა და დაბინძურებული საწარმოო წყლის (მათ შორის ნივთიერებების ფეთქებადი თვისებებისგან განთავისუფლებისათვის გამოყენებული წყლის) შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო წყლების შეკრების და აღნიშნული მიზნით განკუთვნილი მიწისქვეშა რეზერვუარ(ებ)ის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს საწარმოო წყლის უახლოეს გამწმენდ ნაგებობაში გატანის დამადასტურებელი ხელშეკრულება ან/და წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების, მათი შესაძლო დაბინძურებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად;
- წარმოქმნილი ნარჩენების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ (რეაგირების/მოქმედებათა დეტალური გეგმა), ავარიულ სიტუაციაში რეაგირების კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ოპერირების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო ავარიის რისკების სცენარები და რისკების შეფასება და უნდა მოიცავდეს:
 - მასშტაბებისა და რისკების კრიტერიუმების განსაზღვრას;
 - საფრთხეებისა და მოწყვლადი ობიექტების იდენტიფიკაციას მიმდებარე ტერიტორიებთან მიმართებაში;
 - საშიში ინციდენტების სავარაუდო წყაროების განსაზღვრას;
 - ესკალაციის სცენარების შესაძლო განვითარებასა და შედეგების შეფასებას;
 - ალბათობების შეფასებას;
 - ჯამური რისკების წარმოდგენასა და შეკავების კრიტერიუმებთან შედარებას;
 - შემარბილებელი ზომების იდენტიფიკაციას;
 - გამოყენებული მეთოდების დასაბუთებას (ან ეკვივალენტურის დემონსტრირებას);
 - ავარიების შემთხვევაში შეტყობინების სისტემის უზრუნველყოფას ყველა დონეზე.

- პროექტის ფარგლებში შესასრულებელი მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის საწარმოს ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური აღწერა, სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა (მონიტორინგის წერტილების, სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის:
 - გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს, ზემოქმედების არეალში გავრცელებულ ცხოველთა სახეობების, მათზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაცია;
 - ამასთან, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში აისახოს ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზიანის თავიდან აცილების ქმედებები;

- მონიტორინგის გეგმაში, მშენებლობის ეტაპისთვის, აისახოს ცხოველებზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ;
- პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები-რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების შესახებ, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერით. მასთან, გზმ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში უნდა მიეთითოს, ასევე კოდექსის II დანართის 10.8 ქვეპუნქტი;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი, რომელიც უნდა შეიცავდეს სრულყოფილ გენგეგმას მისასვლელი და გასასვლელი გზების, შესასვლელი ჭიშკრების პარამეტრების ჩვენებით, შენობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებს, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებისათვის განკუთვნილ სახანძრო ჰიდრანტების განთავსების ადგილებს, ასევე სრულყოფილ გეგმებს, მასზე დატანილ სახანძრო სისტემების პირობით ნიშნებს, ჭრილებს, ფასადებს და საექსპერტო შეფასებას;
- გზმ-ის ანგარიშში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება განხილული უნდა იყოს, როგორც ფეთქებადი მასალების წარმოების, ისე განადგურების ობიექტისთვის;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო ნარჩენის (ფეთქებადი ნივთიერებების) განადგურების პოლიგონის შესახებ, GPS კოორდინატებისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის მითითებით;
- ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ფეთქებადი მასალების განადგურებისთვის „სამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული უსაფრთხო მანძილის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფეთქებადი მასალების საცავიდან სხვადასხვა კატეგორიის ობიექტებამდე (დასახლებული პუნქტები, და სხვა) ზემოქმედების უსაფრთხო მანძილი (მ) დგინდება ფეთქებადი ნივთიერების მასის (კგ) მიხედვით. გზმ-ის ეტაპზე, ფეთქებადი ნივთიერების მასისა (კგ) და საწყობის ტევადობის კონკრეტული მნიშვნელობის (კგ) დაზუსტების საფუძველზე დადგინდეს ზემოქმედების უსაფრთხო მანძილი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილის გათვალისწინებით, კომპანიამ უზრუნველყოს საპროექტო მახასიათებლების დაკორექტირება;
- დაზუსტებას საჭიროებს უახლოეს მოსახლემდე, მათ შორის სოფ. ზედა ორღულამდე მანძილი. პროექტის ფარგლებში სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ხმაურის გავრცელებისა და ავარიული რისკების კუთხით, უნდა მოხდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე;
- დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი წარმოებისა და

- განადგურების ობიექტის ოპერირების შედეგად, კონკრეტულად რომელი და რა რაოდენობის მავნე ნივთიერებები გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ფეთქებადი მასალების საწყობების შესახებ, მათ შორის მოცემული უნდა იყოს საწყობის პარამეტრები, ტიპი და სხვ. ასევე მოცემული უნდა იყოს ფეთქებადი მასალების შენახვის პირობების შესახებ ინფორმაცია;
 - სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიის შემოსაზღვრა 2.5 მეტრი სიმაღლის ლითონის მავთულბადით, რომლის ზედა ნაწილში მოეწყობა სამრიგიანი ეკლიანი მავთულხლართი. დაზუსტებას საჭიროებს ზემოხსენებული ინფორმაცია ვინაიდან ნახატზე 2.1.1. მოცემული საწარმოო გენ-გეგმის მიხედვით, ტერიტორიის შემოსაზღვრა დაგეგმილია ბეტონის ღობით;
 - დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სანიაღვრე წყლები შეგროვდება ტერიტორიის მიმდებარედ მოწყობილ რეზერვუარში, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება ხე-მცენარეების მოსარწყავად. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სანიაღვრე წყლების შესაგროვებელი რეზერვუარის და სანიაღვრე წყლის დაბინძურებისა და მოსარწყავად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;
 - გზშ-ის ეტაპზე, საჭიროა წარმოდგენილი იყოს, დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო გზის მოწყობის და მისი მოწყობით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ამასთან დოკუმენტში მოცემული სიტუაციური სქემის (2.3.5.1.) გათვალისწინებით, დაგეგმილი გზის მონაკვეთით შესაძლოა იკვეთებოდეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (35.10.67.191), რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ეტაპზე;
 - სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ აღწერილი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი, რომელიც გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალურად, შესაბამისი თანმიმდევრობით - საწარმოში საჭირო მასალის და დანამატების მიღებიდან ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება-შენახვამდე. მათ შორის, პროექტით გათვალისწინებული ორივე სახის სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების დამზადების და ფეთქებადი მასალების განადგურების ტექნოლოგიური სქემა;
 - სკოპინგის სხვადასხვა თავში მოცემული სამუშაო დღეების რაოდენობა (გვ. 37 გვ. 43) არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
 - გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ფეთქებადი ნივთიერებების შემცველი ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება და შენახვა-დასაწყობებისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების წესების და ნორმების დაცვის შესახებ;
 - სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოცდა გათვალისწინებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე. ამასთან, 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებიდან დგინდება, რომ საწარმოში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფეთქებადი მასალების გამოცდის პირობები, ხოლო ამ მიზნით პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ლაბორატორიას. დადგენილების მოთხოვნის გათვალისწინებით, ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოცდის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, ნივთიერებების გამოცდისთვის ექსპერიმენტული ბაზის გამოყენების შემთხვევაში, გზშ-ის ეტაპზე

წარმოდგენილი უნდა იქნეს ბაზის მფლობელთან შესაბამისი ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ამასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს ექსპერიმენტული ბაზის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია.

- მიზანშეწონილია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციებისა და დამოკიდებულების ამსახველი ინფორმაცია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერით: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება: ზემოქმედების შეფასება გრუნტის წყლებზე; საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

❖ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ინდო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. სავანეში ასაფეთქებელი მასალის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.